

საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30.07.96 გვ. 28) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. საბუთები წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე ნათარგმნი, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლების სახით. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს უცხოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.“

2. 20¹ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს მოქალაქის სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტებს გასცემს სააგენტოს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახური.“

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 20¹¹ მუხლი:

„მუხლი 20¹¹“

1. 2011 წლის პირველი იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 16 აპრილის №652 ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქის მოქმედი პასპორტი“.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასპორტი ინარჩუნებს ძალას, თუ:

ა) მისი მფლობელი იმყოფება საზღვარგარეთ – მფლობელის საქართველოში დაბრუნებამდე ან საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის ახალი პასპორტის აღებამდე;

ბ) პასპორტში საზღვარგარეთის მოქმედი ვიზაა – ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული პასპორტით პირს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტთან ერთად.“

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი